ინფორმაცია პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე

გაცნობებთ, რომ https://greencard.spar.ge საიტზე რეგისტრაციის გავლისას თანხმობის გამოცხადებით ფიზიკური პირი თანხმობას აცხადებს მოწოდებული პერსონალური მონაცემების დამუშავება განხორციელდეს შპს „სპარ“-ის მიერ კონკრეტული მომსახურების, მწვანე ბარათის გათამაშებაში (DV2026) რეგისტრაციის მიზნით, ასევე უფლებამოსილია განახორციელოს უკუკავშირი აღნიშნულ მომსახურებაზე შედეგების და სიახლეების შეტყობინებაზე. ასევე თანახმაა, რომ აღნიშნული მონაცემები და რეგისტრაციის კოდი შენახული იყოს DV2026-ის ვიზების გაცემის დასრულებამდე - 01.10.2026-მდე საიტზე http://greencard.spar.ge. საიტს ჰოსტინგის სერვისით ემსახურება შპს „ინტერნეტ სერვისები“.

მონაცემთა სუბიექტ(ებ)ის პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფუძვლებითა და წესით.

პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება მომსახურების მიზნით. რეგისტრაციის პროცესის დასრულებით თანხმობას აცხადებთ თქვენი (მათ შორის არასრულწლოვანის) პერსონალური მონაცემების ზემოაღნიშნულ ფარგლებში დამუშავებაზე.

მონაცემთა დამმუშავებელი უზრუნველყოფს რეგისტრაციის ფარგლებში მიღებული პერსონალური (მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების, ასეთის არსებობის შემთხვევაში) მონაცემების დაცვას, ზემოაღნიშნული გულისხმობს, რომ ორგანიზაციის მიერ მიღებული ინფორმაციის გადაცემა დაუშვებელია ნებისმიერი მესამე პირებისათვის, შესაბამისი სასამართლო განჩინების ან კანონით პირდაპირ გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე.

რეგისტრაციის პროცედურის ტექნიკურად სრულყოფილად წარმმართვის და სარეგისტრაციო პროგრამის ტექნიკურად გამართვის მიზნით მონაცემთა დამმუშავებელი უფლებამოსილია შესაბამისი საიტის ტექნიკური მხარდაჭერა მიიღოს მესამე პირებისგან.

რეგისტრაციისას გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდება მონაცემთა სუბიექტის მიერ სავალდებულოა მისთვის მომსახურების გაწევის საჭიროებიდან გამომდინარე, რეგისტრაციის არ გავლის (ასევე შესაბამისი მომსახურების ხელშეკრულებაზე ხელის არ მოწერის) შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტი ვერ მიიღებს მომსახურებას მონაცემთა დამმუშავებლისგან.

მონაცემების შენახვა ხორციელდება რეგისტრაციის ფარგლებში. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მიმართოს მონაცემთა დამმუშავებელს და განახორციელოს მისთვის კანონით გათვალისწინებული უფლებების რეალიზება.

მონაცემთა სუბიექტს საქართველოს კანონით პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ აქვს შემდეგი უფლებები: მისი პერსონალური (მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების) ინფორმაციის მიღების უფლება, მონაცემების გაცნობისა და ასლის მიღების უფლება; მონაცემთა გასწორების, განახლებისა და შევსების უფლება; მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლება; მონაცემთა დაბლოკვის უფლება; მონაცემთა გადატანის უფლება; თანხმობის გამოხმობის უფლება; გასაჩივრების უფლება.